

ივანე ჯავახიშვილი – ლინგვისტიკური
კავკასიოლოგიის მესაძირკვლე
საქართველოში

IVANE JAVAKHISHVILI – THE FOUNDER OF THE STUDIES
IN CAUCASIAN LINGUISTICS IN GEORGIA

ამირან ბასილაშვილი

Amiran Basilashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ივანე ჯავახიშვილი, ლინგვისტიკური
კავკასიოლოგია, მორფოლოგიურ-ეტიმოლოგიური
კვლევები

Keywords: Ivane Javakhishvili, Studies in Caucasian Linguistics,
Morphological-Etymological Search

თბილისში პირველი ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებით ახალი ერა იწყება ქართულ მეცნიერებაში. პეტერბურგის უნივერსიტეტიდან და საზღვარგარეთის სხვა სამეცნიერო კერებიდან ქართველ ინტელექტუალთა ჯგუფმა, ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, თავი მოიყარა თბილისში, ახალდაარსებულ უნივერსიტეტში, და აქედან, კავკასიის კულტურული ცენტრიდან, დაიწყო ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიური ძიებანის წარმართვა.

კავკასიური ენებისა და კავკასიელი ხალხის ისტორიის შესწავლის საკითხი ქართულ-ქართველური ენებისა და ქართველი ერის ისტორიის კვლევასთან ერთად პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებისთანავე დადგა დღის წესრიგში. ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო კონცეფცია საქართველოს კავკასიის კონტექსტში შესწავლას გულისხმობდა. „ქართველი ერის ისტორიის“ ხუთტომეულს მეცნიერმა „ქართველი ერის ისტორიის შესავალი“ (ორ წიგნად) წაუმძღვარა. მარტო ამ ნაშრომთა სახელწოდებების გაცნობაც საკმარისია ზემოთქმულში დასარწმუნებლად. პირველი წიგნის სახელწოდებაა „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“. ქართველურ ენათა კავკასიურ ენებთან მიმართებას ეძღვნება მეორე წიგნი, რომელსაც ეწოდება „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“.

ქართულ-კავკასიური კვლევების წარმოება ივანე ჯავახიშვილისთვის დედუქციური, აპრიორულად ფიქსირებული სამეცნიერო მოსაზრების გამოძახილი არ ყოფილა, არც გარკვეული პოლიტიკური იდეოლოგიით ყოფილა ნასაზრდოები, ის ობიექტური სინამდვილიდან გამომდინარეობდა, რომელსაც მეცნიერს ქართველთა ვინაობა-სადაურობის ძიება უკარნახებდა.¹ ქართველთა ეთნოგენეზის მხოლოდ ქართველურ ენათა მასალის გათვალისწინებით კვლევისას ივ. ჯავახიშვილი წააწყდა დაბრკოლებას: „ჩემთვის ცხადი შეიქმნა,

¹ ივანე ჯავახიშვილი კრიტიკული, პირუთვნელი, გაუყალბებელი და პოლიტიკური თუ სხვა სახის იდეოლოგიისგან თავისუფალი ისტორიის მომხრეა. ამაში დასარწმუნებლად, თუნდაც, იაკობ გოგებაშვილთან პოლემიკაში შექმნილი ნაშრომ „მამულიშვილობა და მეცნიერების“ გახსენებაც საკმარისია.

რომ მართო არსებული ეთნოლოგიური და ენათმეცნიერული წყაროების გამოყენებითა და მხოლოდ ქართულ-ქართველური ენოვანი მასალის ანალიზით ქართველთა სადაურობისა და უძველესი კულტურის საკითხების გამორკვევა და გადაჭრა შეუძლებელია. ამისთვის ე. წ. კავკასიური ერებისა და ენების ეთნოგრაფიული და ლინგვისტიკური მასალების გამოყენება მაინც აუცილებლად საჭიროა“ (ჯავახიშვილი, 1937, გვ. 11).

ივანე ჯავახიშვილის დასახელებული ფუნდამენტური ნაშრომი თოთხმეტი წლის განმავლობაში იწერებოდა და 1937 წელს გამოქვეყნდა. მასზე მუშაობა მეცნიერს 1923 წელს, უნივერსიტეტის დაფუძნებიდან ხუთი წლის შემდეგ, დაუწყო. ქართველურ-კავკასიური ენების გენეზისური მიმართების შესწავლა ივანე ჯავახიშვილს ისტორიული ამოცანების გადასაჭრელად სჭირდებოდა. ქართველთა წარმომავლობის სისტემური ენათმეცნიერული შესწავლა მისთვის ძირითად და თანაც გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა, რადგან მეცნიერს არ აკმაყოფილებდა დარგში არსებული მიღწევები. ასევე, მას, როგორც ისტორიკოსს, სურდა, ლინგვისტურად არგუმენტირებული საფუძველი შეექმნა ისტორიული კვლევების დაწყებამდე. ამიტომ მოჰკიდა ხელი არცთუ ნაცნობ სფეროს – ენათმეცნიერული პრობლემების დამუშავებას – ქართველური და მათი მონათესავე კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების კვლევის საკითხს.

ივანე ჯავახიშვილმა ისტორიულ ლინგვისტიკას მიმართა, ისტორიზმი აიღო მთავარ პრინციპად ქართველურ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიურ-ეტიმოლოგიური ძიებანის დროს. ამაზე მიგვითითებს საკუთრივ ნაშრომის სათაურში გამოტანილი სიტყვები „თავდაპირველი ბუნება“. მკვლევარს სრულად ჰქონდა გაცნობიერებული დიაქრონიული ლინგვისტიკის მნიშვნელობა ენათა ნათესაობის დამტკიცებისთვის.

ივანე ჯავახიშვილს კარგად ესმოდა კავკასიურ ენათა მორფოლოგიურ-ეტიმოლოგიურ კვლევამდე შედარებითი ფონეტიკის დამუშავების აუცილებლობა. ასეთი განზრახვაც ჰქონია, მასალებიც მოუმზადებია, მაგრამ რიგი მიზეზების, უმთავრესად კი, კავკასიურ ენებში ფონეტიკურ და მორფოლოგიურ მოვლენათა მჭიდრო კავშირისა და ურთიერთგანმაპირობებლობის, გამო გადაუფიქრებია.

კვლევის დასაწყისში კავკასიურ ენათა ნათესაობის რწმენა, როგორც თავად ივანე ჭავჭავიძევილი აღნიშნავდა, ამ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის¹ შემდეგ სამეცნიერო დებულებად გადაიქცა: „აქამდე განუღი შრომა, დაკვირვება და ანალიზი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართველთა, სინდ-ლილღ-ლეგ-ალბანელების შორეული წინაპრები ღვიძლი მოძმე ტომები ყოფილან, რომელთაც მონათესავე და თავდაპირველად ერთი ენაც-კი უნდა ჰქონოდათ...“ (ჭავჭავიძევილი, 1937, გვ. 622).

საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ ქართველური ენების კავკასიურ ენებთან ნათესაობა დადებითად არის გადაწყვეტილი. ამავე შრომაში ფორმულის სახე მიიღო მეცნიერის კონცეფციამ: „მხოლოდ ამ მიმართულებით, ამ მეთოდებითა და ამნაირი მასალის გამოყენებით მოხერხდება იმ გზის გაკაფვა, რომელიც აწინდელი გარშემოზღუდვილობისგან ფართო ასპარეზზე გაგვიყვანს და ყოველმხრივსაინტერესო და უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას შეგვაძლებინებს“ (ჭავჭავიძევილი, 1937, გვ. 625).

ამდენად, ივანე ჭავჭავიძევილი უნდა ჩაითვალოს მესაძირკვლედ ლინგვისტიკური კავკასიოლოგიისა, რომელსაც შემდეგ „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ ეწოდა მისივე მოწაფის, არნოლდ ჩიქობავას, მიერ.

1933 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა მსოფლიოში პირველი კავკასიურ ენათა კათედრა. ახლად დაარსებულ კათედრას გადაუდებელი ამოცანები უნდა გადაეჭრა, ამიტომ იყო, რომ დრო შედარებით შესწავლაზე მეტად კავკასიურ ენათა აღწერითი ტიპის გრამატიკების დამუშავებასა და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების შექმნას დაეთმო, აგრეთვე, ლექსიკონთა შედგენას. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო ნაშრომი, რომელიც თბილისის

¹ ტერმინი „ისტორიულ-შედარებითი“ არ არის გამოყენებული ტრადიციული გაგებით. აქ იგულისხმება რამდენიმე მონათესავედ ნავარაუდები ენის შედარებითი მორფოლოგიურ-ეტიმოლოგიური შესწავლა ისტორიულ ასპექტში ამ ენათა ნათესაობის დამტკიცების მიზნით.

კავკასიოლოგიური სკოლის მიერ შეიქმნა, არის არნოდ ჩიქობავას „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (1942). ამ ნაშრომში ავტორი სწორედ ივანე ჯავახიშვილის მიერ დასახულ მიმართულებას მიჰყვება, კერძოდ, იკვლევს ქართველურ ენათა ფუძეთქმნადობის პრობლემას – სახელური ფუძეების აგებულებას – ძირის, გრამატიკული კლასის კატეგორიის ფორმანტებისა (ივანე ჯავახიშვილის ტერმინოლოგიით: სქეს-კატეგორია) და დეტერმინანტი სუფიქსების საკითხს. არნ. ჩიქობავას აზრით, კვლევის შედეგი სხვა კავკასიურ ენათა ფუძეთქმნადობის მოდელის იდენტური აღმოჩნდა. ამ კონტექსტში გასაგებია, რატომ გახაზავს არნ. ჩიქობავა „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაში“ ივანე ჯავახიშვილის ზემოთაღნიშნულ სიტყვებს, სადაც საუბარია ქართველურ-კავკასიურ ენათა შესწავლის მიმართულებაზე, მეთოდებსა და მასალაზე („... მხოლოდ ამ მიმართულებით, ამ მეთოდებითა და ამნაირი მასალის გამოყენებით მოხერხდება იმ გზის გაკაფვა, რომელიც აწინდელი გარშემოზღუდვილობისაგან ფართო ასპარეზზე გაგვიყვანს და ყოველმხრივ საინტერესო და უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას შეგვაძლებინებს.“) (ხაზგასმა არნ. ჩიქობავასი) (ჩიქობავა, 2008, გვ. 391).

ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტში სპეცკურსსაც კითხულობდა, რომელიც ქართველი და სხვა კავკასიელი ხალხის წარმომავლობის პრობლემისადმი იყო მიძღვნილი. გიორგი მელიქიშვილის მოგონებით, რომელიც თავად იყო ამ კურსის მსმენელი, ლექციებში ცენტრალური ადგილი ეკავა ენათმეცნიერულ მასალას, რომლითაც ივანე ჯავახიშვილი ცდილობდა ქართველური და კავკასიური ენების ნათესაობის დამტკიცებას (მელიქიშვილი, 2019, გვ. 64).

ივანე ჯავახიშვილის დატოვებული ანდერძის, რომელიც ქართველთა მიერ კავკასიური ენების შესწავლის აუცილებლობას გულისხმობს („ჩემი ღრმა რწმენით, რაკი გამოირკვა, რომ ე. წ. კავკასიური ენები ჩვენი წინაპრების მოძმე ტომთა ენები ყოფილა, ყოველი განათლებული ქართველი ვალდებულია ამ ენების და ტომების ისტორია ისევე იცოდეს, როგორც თავის ერისა და ქვეყნის...“ (ჯავახიშვილი, 1937, გვ. XV), აღმსრულებელი დღეს კავკასიოლოგიის ინსტიტუტია, რომლის წარმომადგენლებიც ცდილობენ, დიდი წინაპრების დასახულ გზაზე ღირსეულად იარონ.

ლიტერატურა:

- მელიქიშვილი გ.** (2019). მოგონება ივანე ჯავახიშვილზე, გიორგი მელიქიშვილი 100, 63-64, თბილისი.
- ჩიქობავა არნ.** (1942). სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.
- ჩიქობავა არნ.** (2008). იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი: „უნივერსალი“.
- ჯავახიშვილი ივ.** (1904). მამულიშვილობა და მეცნიერება, ტფილისი.
- ჯავახიშვილი ივ.** (1937). ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი: „სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა“.

A new era in Georgian science begins with the establishment of the First National University in Tbilisi. Ivane Javakhishvili led a group of Georgian intellectuals from the University of St. Petersburg and other scientific centers abroad. They all gathered at the newly established University in Tbilisi at the Caucasus Cultural Center, where the Kartvelological-Caucasian research began.

Studying the languages of the Caucasus and the people of the Caucasus, along with the study of the history of the Georgian-Kartvelian languages and the Georgian nation, has been on the agenda since the founding of the first Georgian University. Ivane Javakhishvili's scientific concept was to study Georgia in the context of the Caucasus. The "Introduction to the History of the Georgian Nation" (in two books) were followed by the five-volume "History of the Georgian Nation". Familiarity with the titles of these papers alone is enough to prove the above. The first book's title is "Historical-Ethnological Problems of Georgia, the Caucasus, and the Middle East". The second book is dedicated to the relation of Kartvelian languages to Caucasian languages, which is called "The Original Nature and Kinship of the Georgian and Caucasian languages".

Ivane Javakhishvili encountered an obstacle while researching the ethnogenesis of Georgians only considering the material of Kartvelian languages: "It became clear to me that it is impossible to identify and resolve the

issues of Georgian disputes and ancient culture only by using existing ethnological and linguistic sources and only by analyzing Georgian-Kartvelian language material. For this, ethnographic and linguistic materials of Caucasian nations and languages are still necessary” (Javakhishvili, 1937, p. XI).

Ivane Javakhishvili needed to study the genesis of the Kartvelian-Caucasian languages to solve historical problems. He, as a historian, wanted to lay down a linguistically reasoned basis before beginning historical research.

Ivane Javakhishvili applied historical linguistics; he took historicism as the main principle during the morphological-etymological search of Kartvelian-Caucasian languages. The researcher was fully aware of the importance of diachronic linguistics in affirming the kinship of languages.

In the landmark work “The Original Nature and Kinship of the Georgian and Caucasian Languages”, the relationship between Kartvelian and Caucasian languages is resolved. In the same work, the concept of the scientist can be seen as a formula: “Only in this direction, with these methods and the use of such materials will it be possible to pave the way, which will take us to a wider arena from now on and will be able to solve an interesting and fundamental problem in every way” (Javakhishvili, 1937, p. 625).

Thus, Ivane Javakhishvili should be considered the founder of Linguistic Caucasology, later called “Iberian-Caucasian Linguistics” by his student Arnold Chikobava.

It should be noted that one of the most interesting works created by the Tbilisi School of Caucasology is Arnold Chikobava’s “The Oldest Structure of Noun Bases in Kartvelian Languages” (1942). In this paper, the author follows Ivane Javakhishvili’s steps; in particular, he studies the problem of the root formation of Kartvelian languages – the structure of the noun bases – the issue of root, grammatical class category formats, and determinant suffixes. According to Arnold Chikobava, the result of the research was identical to the model of the root formation of other Caucasian languages.

The will left by Ivane Javakhishvili, which stipulates the need for Georgians to study Caucasian languages, is being enforced today by the Institute of Caucasology. The representatives of latter are trying to walk the path set by their great ancestors.

References:

- Melikishvili, G.** (2019). Mogoneba ivane žavaḡišvilze [Memories of Ivane Javakhishvili], Giorgi Melikishvili 100, 63-64. Tbilisi.
- Chikobava, Arn.** (1942). Saḡelis fuḡis uzvelesi agebuleba kartvelur enebši [The Oldest Structure of Noun Bases in Kartvelliian Languages]. Tbilisi: Press of the Georgian SSR Science Academy.
- Chikobava, Arn.** (2008). Iberiul-ḡavḡasiur enata šesḡavlis ištoria [History of the Study of Iberian-Caucasian Languages]. Tbilisi: Universal.
- Javakhishvili, Iv.** (1904). Mamulišviloba da mecniereba. [Patriotism and Science]. Tbilisi.
- Javakhishvili, Iv.** (1937). Kartuli da ḡavḡasiuri enebis tavadapirveli buneba da natesaoba. [The Original Nature and Kinship of Georgian and Caucasian languages]. Tbilisi: press of the Georgian SSR Science Academy.